



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დადგენილება №108

(კოდიფიცირებული)

ქ. ბათუმი

30 ნოემბერი, 2017 წ.

ბსუ-ს ემერიტუსის ფულადი ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ¹

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 და 62-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 17 ოქტომბრის N182/ნ ბრძანების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს ემერიტუსის ფულადი ანაზღაურების გაცემის თანდართული წესი (დანართი 1).
2. დადგენილება გავრცელდეს 2017 წლის 18 ოქტომბრიდან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 17 ოქტომბრის N182/ნ ბრძანების ძალაში შესვლის თარიღიდან) წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
3. ბსუ-ს ემერიტუსებს ეთხოვოთ წინამდებარე დადგენილების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, წარმოუდგინონ ბსუ-ს რექტორს წერილობითი ინფორმაცია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების შესახებ (ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაში).
4. დადგენილების მე-3 პუნქტის შესრულებაზე კონტროლი დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.
5. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ემერიტუსებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
6. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი

მერაბ ხალვაში

¹ ცვლილება შევიდა ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის №62 და 2020 წლის 20 ივლისის №06-01/42 დადგენილებებით.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის
N108 დადგენილების
დანართი 1

*(ცვლილებები და დამატებები:
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის N62
და 2020 წლის 20 ივლისის N06-01/42 დადგენილებებით)*

ბსუ-ს ემერიტუსის ფულადი ანაზღაურების გაცემის წესი

1. ემერიტუსის ფულადი ანაზღაურების გაცემის წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“) ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე პირისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი ანაზღაურების ოდენობას, მისი გაცემის პირობებს და ასევე ფულადი ანაზღაურების გაცემის შეწყვეტის საფუძვლებს.

2. ბსუ-ს ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება მიიღება მხოლოდ შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

3. ბსუ-ს ემერიტუსის აკადემიური წოდება შეიძლება მიენიჭოს 65 წელს მიღწეულ პირს, რომელიც წარდგინების აღძვრის მომენტისათვის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უკავია პროფესორის თანამდებობა და აქვს ამ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება;

ბ) აქვს უნივერსიტეტში, მათ შორის ამ უნივერსიტეტთან ინტეგრირებულ სამეცნიერო ან/და საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიურ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 25 წლის გამოცდილება;

გ) თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უნივერსიტეტში შესაბამისი დარგის განვითარებაში.

4. ემერიტუსის წოდება პირს შეიძლება მიენიჭოს შემდეგი ვადების დაცვით:
(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის N06-01/42 დადგენილებით)

ა) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე;

ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის ნახევრის გასვლის შემდეგ, სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 თვით ადრე წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე, პროფესორის თანამდებობიდან გათავისუფლების პირობით;

გ) შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მე-3 სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 თვით ადრე უვადოდ არჩეული პროფესორის მიერ წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე, პროფესორის თანამდებობიდან გათავისუფლების პირობით;

5. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით ბსუ-ს ემერიტუსს განესაზღვრება ყოველთვიური ფულადი ანაზღაურება, ემერიტუსის წოდების მინიჭების დროს პროფესორის საშტატო ერთეულისათვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების 50 %-ის ოდენობით.

6. ბსუ-ს ემერიტუსის ყოველთვიური ფულადი ანაზღაურების გაცემა დაიწყება ბსუ-ს პროფესორისათვის ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილების მიღებისა და მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, მომდევნო თვიდან. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის N62 დადგენილებით)*

7. ბსუ-ს ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე პირი ვალდებულია:

ა) სისტემატური მონაწილეობა მიიღოს ბსუ-ს საზოგადოებრივ საქმიანობაში და შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის, განყოფილების, ლაბორატორიის აკადემიურ და სამეცნიერო აქტივობაში, რაც შეიძლება გამოიხატოს ანაზღაურების გარეშე სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობაში, სამეცნიერო საგრანტო პროექტების მომზადებაში ან/და ბსუ-ს სტუდენტებისათვის კონსულტაციების ჩატარებაში (ამ პირობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შესაბამის სემესტრში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ემერიტუსმა ფაკულტეტის საბჭოს უნდა წარუდგინოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ჯანმრთელობის ცნობა, რომელიც დაერთვება ემერიტუსის ყოველწლიურ ანგარიშს);

ბ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების ან ბსუ-ში შრომითი საქმიანობის დაწყების შემთხვევაში (გარდა საათობრივად ანაზღაურებადი პედაგოგიური საქმიანობისა), არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა აცნობოს ბსუ-ს რექტორს;

გ) ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, არაუგვიანეს 30 ივნისისა, შესაბამის ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინოს ანგარიში მის მიერ ამ წესის მოთხოვნების შესრულების შესახებ;

დ) საქმიანობის განხორციელების პროცესში იხელმძღვანელოს ბსუ-ს ინტერესებითა და ეთიკის კოდექსით;

8. ემერიტუსის ანგარიშის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე განხილვის შედეგები ფაკულტეტის დეკანის მიერ არაუგვიანეს შესაბამისი წლის 15 ივლისისა უნდა წარედგინოს ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს.

9. ბსუ-ს ემერიტუსისათვის ფულადი ანაზღაურების გაცემის შეწყვეტის შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილება უნდა გამოიცეს:

ა) ბსუ-ს ემერიტუსის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების შემთხვევაში;

ბ) ბსუ-ს ემერიტუსის მიერ ბსუ-ში ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის დაწყება (გარდა საათობრივად ანაზღაურებადი პედაგოგიური საქმიანობისა ან/და უნივერსიტეტის მიერ მოპოვებული ეროვნული ან/და საერთაშორისო საგრანტო ან/და საუნივერსიტეტო მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ან/და ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებული სხვა სამუშაოს შესრულებისა, ამ ერთეულის ან ბსუ-ს საკონკურსო თანამდებობის დაკავების გარეშე); *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის N06-01/42 დადგენილებით)*

გ) ამ წესით გათვალისწინებული ინფორმაციის ან/და ანგარიშის წარმოუდგენლობის შემთხვევაში;

დ) ბსუ-ს ემერიტუსის გარდაცვალების შემთხვევაში (სამსახურებრივი ბარათი წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ სტრუქტურული ერთეულის მიერ, რომლის ინიციატივითაც პირს მიენიჭა ბსუ-ს ემერიტუსის წოდება. შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში სამსახურებრივ ბარათს ბსუ-ს რექტორს წარუდგენს ასევე ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, მათ შორის ამ ემერიტუსთან მოქმედი შრომითი ხელშეკრულების/ურთიერთობის ბსუ-ს მიერ ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე (ასეთის შრომითი ურთიერთობის/ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში)). *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის N06-01/42 დადგენილებით)*

10. ბსუ-ს წესდებითა და ამ წესით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ბსუ-ს ემერიტუსისათვის ფულადი ანაზღაურების გაცემის შეწყვეტა უნდა მოხდეს შეწყვეტის საფუძვლის წარმოშობიდან მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან,

მიუხედავად იმისა, თუ როდის იქნება წარმოდგენილი შესაბამისი ინფორმაცია (განცხადება, დოკუმენტი, სამსახურებრივი ბარათი და სხვა) ან/და როდის განიხილავს აღნიშნულ საკითხს აკადემიური საბჭო (ასეთ შემთხვევაში ზედმეტად გაცემული ფულადი ანაზღაურება უნდა დაექვემდებაროს უკან დაბრუნებას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე).

11. ბსუ-ს ემერიტუსისათვის ფულადი ანაზღაურების გაცემის შეწყვეტის შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილება აღსასრულებლად გადაეცემა ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

12. იმ პირებზე, რომლებსაც ამ წესის ამოქმედებამდე მიენიჭათ ბსუ-ს ემერიტუსის აკადემიური წოდება, გაიცეს ყოველთვიური ფულადი ანაზღაურება 1250 ლარის ოდენობით.

13. იმ პირებისათვის, რომლებსაც ამ წესის ამოქმედებამდე მიენიჭათ ბსუ-ს ემერიტუსის აკადემიური წოდება და არჩეულნი არიან ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობებზე, ბსუ-ს წესდების 62-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება შრომითი ურთიერთობის შეზღუდვასთან დაკავშირებით (გარდა საათობრივი ანაზღაურების წესით შესრულებადი პედაგოგიური საქმიანობისა) ამოქმედდეს შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვისთანავე.